# ინფორმაცია პროექტის შესახებ

<u>პროექტი ხორციელდება მუხრანის N3 საჯარო სკოლის ფარგლებში და მოიცავს მოსწავლეებმა უფრო მეტი იცოდნენ მათი ქალაქის/რეგიონის/სოფლის ღირსშესანიშნავობების შესახებ.</u>

# ინფორმაცია

- ავტორი:ნინო გერაძე
- თარიღი:23.07.2021
- თემა:სოფ. მუხრანის ღირსშესანიშნავობები
- ინფორმაციები:Google, CapCut და Social Influencer-იდან
- სკოლა:მუხრანის N3 საჯარო სკოლა

# სოფელი მუხრანი




მუხრანი — სოფელი აღმოსავლეთ საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარის მცხეთის მუნიციპალიტეტში, თემის ცენტრი (სოფლები: პატარა ქანდა, ძველი ქანდა). მდებარეობს მუხრანის ვაკეზე, მდინარე ქსნის მარცხენა ნაპირას, ზღვის დონიდან 550 მ სიმაღლეზე. ქალაქ მცხეთიდან დაშორებულია 23 კილომეტრით.

სოფლის სახელწოდება წარმოდგება სიტყვა ,,მუხიდან".

მუხრანი ქართლის ერთ-ერთი ძველი სოფელია. XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე შიოსუბანი ერქვა. მუხრანის სათავადოს დაარსების შემდეგ აქ გაიშალა მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, ამრავლებდნენ ხელნაწერებს, მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და პოეტები — ბაგრატ მუხრანბატონი (XVI საუკუნე), კონსტანტინე მუხრანბატონის მეუღლე ბარბარე (XVIII საუკუნე), გრიგოლ ბაგრატიონ-მუხრანელი (XVIII-XIX საუკუნეები) და სხვ. სოფელში დგას მუხრანბატონის ციხე-გალავანი, რომელიც მამუკა მუხრანბატონს აუგია 1733 წელს, ხოლო 1756 წელს მის ნანგრევებზე სახლთუხუცეს კონსტანტინე მუხრანბატონს აუშენებია ახალი ციხე.

# სოფელი მუხრანის ღირსშესანიშნავობები

- სოფელი მუხრანი ოდითგანვე გამოირჩეოდა ულამაზესი ბუნებითა და უმშვენიერესი ადგილებით. იქ მდებარეობს მშვენიერი სასახლე, უამრავი ეკლესია. ძალიან ძნელია მათი ჩამოთვლა, ბევრი ადგილი სრულიად დავიწყებული და უყურადღებოა.
- ეს პროექტი კი კერძოდ მოიცავს სოფელი მუხრანის უძვირფასეს ადგილს შატო მუხრანს, მუხრანბატონის სასახლეს.

# შატო მუხრანი-მუხრან ბატონის სასახლე

მუხრანბატონის სასახლე — არქიტექტურული ძეგლი მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში. აგებულია XIX საუკუნის მეორე ნახევარში. სასახლე ეკუთვნოდა მდიდარ ქართველ მემამულეს, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონს (1809-1895 წწ.). 1876 წელს ივანე მუხრანბატონმა საფრანგეთიდან მოიწვია მეღვინეობის სპეციალისტები, დაიხმარა ქართველი მეღვინე ზ. ჯორჯაძე და მუხრანში ააგო ღვინის ქარხანა, სადაც ღვინოს ევროპული წესის შესაბამისად აყენებდნენ. 1882 წელს ამ ქარხანაში დამზადებულმა ღვინომ მოსკოვის გამოფენაზე დაიმსახურა უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო გერბი. ღვინის ქარხანა სასახლეს გვირაბით უკავშირდებოდა.

# რესტავრაციამდე/რესტავრაციის შემდეგ

## რესტავრაციამდე




## რესატვრაციის შემდეგ